# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



ქართულის თეატრის არტისტები სთხოვენ მსურველთ მობრძანდნენ და პატივი სცენ გარდაცვალებულთ თ. გ. ერისთავისა, ზ. ანტონოვისა და ნ. შიშნიაშვილის ხსენებას პანაშვიდზე დასწრებით. პანაშვიდი გარდახდილ იქნება სამშაბათს, 19 სექტემბერს, დილის 12 საათზედ, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

(2—1)

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—5)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 სექტემბერს,

სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის მოღვაწეობისა, ქართული თეატრის არტისტები გადაიხდიან

იუბილეის.

წარმოდგენა დაიწყება

სადღესასწაულო აქტით.

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველი მოქმედ. თ. გ. ერისთავის კომედიისა

### გაყრა

II

პირველი მოქმედ. გრიბოედოვის კომედიისა

### ვაი ჭკუისაგან

III

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიისა

### ხანუმა

IV

მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის კომედიისა

### ხათაბალა

დასასრულ

### აპოთეოზი

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი და ხაზანდარი. თეატრი მორთული იქნება.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

(4—3)

„კვაზაც"-ს ბაღში

ხუთშაბათს გადადებული

საოჯახო სეირნობა

დანიშნულია კვირას, 17-ს სექტემბერს.

დაწვრილებით ყოველივე აფიშებშია.

(1—1)


ტფილისი, 16 სექტემბერი

ამ დღეებში მკითხველს გაკვრით ვუამბეთ, თუ რა თვალით უყურებენ ევროპაში სწავლა განათლების საქმეს და რა ფერი და ხასიათი აქვს ამ ქვა-კუთხედს ერთა წარმატებისას შვეცია-ნორვეგიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. ეხლა მეტი არ იქნება ამ მხრით შვეიცარიასაც მევეხოთ და მკითხველს შევატყობინოთ, რის შემძლე ყოფილა ეს პატარა ქვეყანა, რომელიც შვეცია-ნორვეგიასავით ხმალთა ტრიალსა და აბჯარ-ჯავშნის ქღერას არ მისდევს და ევროპის საპოლიტიკო შფოთსა და დავიდარაბაში ხელს არ ურევს. ამ ქვეყნის მაგალითი ნათლად დაგვანახვებს, რისი შემძლე ყოფილა პატარა ერი, რომელიც მთელს თავისს მხნეობას, სულისა და გულის ძალ-ღონეს საკუთარს წარმატებასა და კეთილდღეობას ანდომებს და მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ თავის მკვიდრთ წესიერება, სწავლა-განათლება და რიგიანი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა დაუმკვიდროს.

შვეიცარია პატარა მთიანი ქვეყანაა და შეიცავს სამს მილიონს მკვიდრს სამის სხვა-და-სხვა ტომისას—გერმანიისას, საფრანგეთისას და იტალიისას. ამ ქვეყანას დიდი ხანია, რაც, ევროპის სახელმწიფოთა პირობისამებრ ნეიტრალიტეტი აქვს დამკვიდრებული, ასე რომ ევროპის საპოლიტიკო საქმეებში მონაწილეობას არ იღებს და არც არავინ ემუქრება თავ-დასხმასა და წარღვნას, თუმცა სამს ძლიერს სახელმწიფოს, სახელდობრ, გერმანიასა, საფრანგეთსა და იტალიას შორის არის მოქცეული. წეს წყობილება და მართებლობა რესპუბლიკისა აქვს; შინ სრული თავისუფლება და წესიერება აქვს დამკვიდრებული, გარეძგანაც ხელშეუხებელია და მთელს თავისს გონებრივს, ზნეობრივსა და ნივთიერს შემძლებლობას შინაურს წარმატებას ანდომებს. მართლაც ამ ქვეყანაში სწავლა-განათლებაც შესამჩნევად მაღლა სდგას, ვაჭრობა და მრეწველობა ჰყვავის, მწერლობაც დაწინაურებულია, ასე რომ ამ მხრით, მკვიდრთა რაოდენობისა და თავის მიწა-წყლის მიხედვით, უდიდესს და უძლიერესს სახელმწიფოთაც-კი სჯობნის. სხვა-და-სხვა ტომის მკვიდრთა ურთიერთობაც ხომ სრულს ძმობასა და სიყვარულზეა დამყარებული და ეროვნულის შფოთისა და განხეთქილებისა შვეიცარიამ არა იცის-რა.

როგორც ვთქვით, შვეიცარიაში სწავლა-განათლება შესამჩნევად მაღლა სდგას და ეს ქვეყანა თავისის პირველ დაწყებითი სკოლების რაოდენობით, სიკეთითა და პროგრამით ბევრს სხვა სახელმწიფოს სჯობნის. ამ ჟამად აქ ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგანაც საჭირო ცნობები ხელთ არა გვაქვს, ხოლო ვუამბობთ მკითხველს, თუ რაოდენად მაღლა სდგას ამ პატარა ქვეყანაში უმაღლესი სწავლა-განათლება და რამდენს უმაღლესს სასწავლებელს ინახავს მკვიდრთა რაოდენობითა და მიწა-წყლით მცირე ქვეყანა. ამ მხრითაც აღმოჩნდება, რომ შვეიცარია სჯობნის გერმანიასაც, რომელიც განსაკუთრებით სახელ-განთქმულია უმაღლესის სწავლა-განათლებით. შვეიცარიას, რომლის მკვიდრთა რაოდენობა არ აღემატება სამს მილიონს, ხუთი უნივერსიტეტი აქვს, ერთი პოლიტეხნიკუმი და ერთიც აკადემია. ამ სახით ექვსას ათასს მკვიდრზე ერთი უნივერსიტეტი მოდის, მაშინ-როდესაც გერმანიაში, რომელსაც ოც-და-ცხრა უნივერსიტეტი აქვს, ერთი უნივერსიტეტი ერთ მილიონ ნახევარ მკვიდრზე მოდის. შვეიცარიის ხუთს უნივერსიტეტში სწავლობს 2,050 კაცი, მათ შორის 1,237 კაცი შვეიცარიის მკვიდრია და დანარჩენიკი უცხოელნი არიან. ამ მოსწავლეთა შორის 200-მდე ქალი ითვლება, რომელნიც განსაკუთრებით ექიმობასა და საბუნების-მეტყველო საგნებს სწავლობენ. ამ სახით შვეიცარიას გერმანიაზე თითქმის ხამჯერ მეტი უნივერსიტეტი აქვს და სამჯერ მეტს ფულს ჰხარჯავს ხუთის უნივერსიტეტის შესანახად.

რასაკვირველია, პატარა ერს უნდა ემძიმებოდეს ამდენის უნივერსიტეტის შენახვა და გაძღოლა, მაგრამ ეგ პატარა ერი ხარჯსა და შრომას არ ერიდება, ოღონდ სწავლა-განათლება გააძლიეროს და ააყვაოს. იქნება იკითხოთ, ხად ჰშოულობს ეს ხელის-გულის ოდენა ქვეყანა იმდენს სახსარს, რომ პირ-ნათლად უძღვება ხუთს უნივერსიტეტსაო. შვეიცარიის უნივერსიტეტებს არც საერთო მართებლობა აძლევს ხარჯს და თითქმის არავითარი შემოსავლიანი უძრავი და მოძრავი ქონება არა აქვთ, მაშინ როდესაც გერმანიის უნივერსიტეტებს მართებლობაც უმართავს ხელს და საკუთარი კაპიტალები და ადგილ-მამულიც აქვთ. შვეიცარიის უნივერსიტეტს თვით კანტონები ინახავენ, მაგრამ არც ეს წყარო ჰყოფნის. მაშ ვინ უწყობს ხელს ამ სასწავლებლებს? ისევ შვეიცარიელი საზოგადოება, რომელიც მხნეობს, ხარჯსა და შრომას არ ერიდება, ოღონდ მეცნიერებასა და სწავლა-განათლებას ფართო გზა მისცეს. შვეიცარიაში რამდენიმე კერძო საზოგადოება არსებობს, რომელთაც საგნად აქვთ უნივერსიტეტებს შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონ. ეს საზოგადოებანი ხარჯს აძლევენ პროფესორებს, ჰმართავენ კათედრებს, აშენებენ უნივერსიტეტისათვის საჭირო შენობას და სხვანი. რამდენად გულმხურვალედ ეკიდებიან შვეიცარიელნი თავიანთს უნივერსიტეტის ჭირსა და ლხინს, შემდეგი ამბავი გვიჩვენებს. ერთხელ, როცა ბაზელის უნივერსიტეტს დიდი გაჭირება ეწვია და როცა ეს სასწავლებელი კიდეც უნდა გაუქმებულიყო, ბაზელის მოქალაქეთ ერთს თვალის დახამხამებაზე დააარსეს საზოგადოება, რომელმაც იკისრა ამ უნივერსიტეტის დაცვა და გაძღოლა და კიდეც შეისრულა თავისი განზრახვა. მას აქეთ ბაზელის უნივერსიტეტს არავითარი გაჭირება არ გამოუვლია და არც მოსალოდნელია, რომ რაიმე ხიფათი შეემთხვიოს.

რისი მაჩვენებელია შვეიცარიის მაგალითი? ხშირად გაიგონებთ ხოლმე საზოგადოებასა და ზოგჯერ მწერლობაშიაც, ვითომ პატარა ერს არ შეუძლიან საკუთარს სულიერს საჭიროებასა და ვითარებას გაუძღვესო. შვეიცარიის მაგალითი-კი ცხადად გვეუბნება, რომ ეგ აზრი ტყუილია და პატარა ერსაც ძალ-უძს ერთსაცა და მეორესაც გაუძღვეს, თუ იმის მხნეობასა და სულიერს ძალ-ღონეს გზა გადაღობილი არა აქვს.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** 15 სექტემბერს ბანკის თეატრში პირველი წარმოდგენა იყო ოპერეტისა. მაყურებელი ბლომად დაესწრო, ასე რომ დარბაზი სავსე იყო, მხოლოდ ლოჟები შიგა-და-შიგ თავისუფალი იყო. წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომიკური ოპერა „ხელი და გული". თავი იჩინეს ყველაზედ მეტად ქ-ნმა რადომიროვისამ, რომელიც ძალიან მოეწონა საზოგადოებას და რამდენჯერმე გამოწვეულ იქმნა დიდის ტაშით. ქ-ს რადომიროვისას საუცხოვო ტკბილი ხმა აქვს, მიხვრა-მოხვრა კეკლუცი და მოხდენილი, და ლამაზად ჰგალობს, ასე რომ საზოგადოებამ რამდენჯერმე განამეორებინა საგალობელი. გვგონია, რომ ეს ქ-ნი რადომიროვისა ჩვენის ქალაქის საყვარელ არტისტად შეიქმნეს. ძალიან მოეწონა საზოგადოებას აგრეთვე ბ-ნი ბიაზი, რომელსაც მართლა რომ კარგი არტისტობა ეტყობა. ბ-ნი ბიაზიც რამდენჯერმე გამოიწვიეს. საერთოდ პიესა რიგიანად ითამაშეს. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და ნიშნად კმაყოფილებისა გამოიწვია რამდენჯერმე თითონ ანტრეპრენიორი, ბ-ნი ფორკატი.

*** ამ დღეებში შემთხვევა გვქონდა გვენახა ერთის ტფილისის მოქალაქე ქართველ ოქრომჭედლის დავით მამულაშვილის ნახელოვნები, რომელიც მოუმზადებია ტფილისის სამეურნეო გამოფენისათვის. ეს ნახელოვნები არის ვერცხლის სამი ნაჭერი: ერთი კულა და ორიც ყარყარა-კულა (დაგრეხილ - ყელიანი სურა). სუბუქად თვალის გადავლებაც ცხადად გაჩვენებთ, რომ ძველადგანვე დარჩენილი ხელოვნება ჯერ ისევ სულდგმულობს ჩვენს ხელოსნებში და ამ ხელოვნებას ყოველისავე მხრით თავმინებებულსა და უგულოდ დაგდებულს ისევე ჩვენი ხალხი უვლის, ინახავს და ხელს უწყობს. ვინმე ხელოსანს, თავის საქმის მოსიყვარულეს, რომელსაც არც სკოლა უნახავს, არც ხატვა უსწავლია და მხოლოდ შეგირდობით ოსტატის დუქანში ყმაწვილობითვე შესდგომია ხელობის სწავლას, თავისის ბეჯითობით, ნიჭითა და გემოვნებით მიუღწევია იქამდე, რომ მისი ნამუშევარი ხელოვნების ნაწარმოებს უახლოვდება და არა უბრალო ხელოსნობისას. ამ გვარ ხელოვანს მუშაკს ვხედავთ მხატვარ-ამომთხრელს ტატიშვილს, რომელმაც დაგვანახვა სურათებიან „ვეფხისტყაოსანში" თავისი მეცადინეობა. ამ გვარივე ხელოვანი არის ოქრომჭედელი დავით მამულაშვილი თავისის ჩუქურთმის ცოდნით. ძველებურს ვერცხლზე ჩუქურთმის გამომყვანელი ეხლა ძალიან ნაკლებად არის ჩვენში უყურადღებობის გამო და თუმცა მამულაშვილის ხელოვნება ისე წმინდად გამოყვანილი არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგი დედანია დღევანდლამდე დარჩენილის ძველებურ ვერცხლის ჩუქურთმისა.

აი, მაგალითად, ჩვენებური ჩვეულებრივის ზომის ვერცხლის კულა, მამულაშვილის გაკეთებული, რას გამოხატავს: ზემო პირზე ყვავილიან არშიაში ერთი მთელი სურათია (ერთი თურა): მექორწილეები არიან, მეფე-პატარძალი ქართულის გვირგვინებით, უკან მეჯვარე, გვერდზე საზანდრების დასტა (მეჭიანურე ჭიანურით, მეთარე თარით, მენაღარე დიპლიპიტო-ნაღარით), წინ მოლეკურე ქალ-ვაჟია. ქვემო პტყელ მხარეს მეორე პატარა თურაა გამოხატული: მეზურნეების დასტა და მოქეიფეები, რომელთაგან ერთს ტიკჭორა უჭირავს და ყანწშ-

ღვინოს ასხავს, მეორე მოლხინეს ერთს ხელში კულა უჭირავს და მეორეში თასი. გვერდზე სტოლი დგას. ამ ორ თურას გარდა გარშემო სხვა-და-სხვა ცხოველებია: ლომები, ფრინველები, გველები, რომელნიც ერთმანეთს ებრძვიან. ყელი გრძელის არშიით აქვს დაჩუქურთმული, კულა სამ-ფეხიანია და ყელ-მაღლა დაიდგმის. ღვინის ჩასასხმელ მოკლე პირს საცობი აქვს, რომელზედაც მამალი დგას.

ერთ ყარყარა კულაზე ოთხი თურაა ორს მხარეს. ერთში ურემია გამოხატული ხარებ-შებმული, ზედ რუმბია და კოფოზე მეურმე. ამის გვერდით პატარა თურაში ცხენოსანი სირაჯია და ურემს მისდევს. მესამე თურაში კალოა ორის კევრით უღელ ხარებ-შებმული. კევრს ყმაწვილები უდგანან. გვერდებზე ფიწალით ორი კაცი კალოს უქცევს. კალოს გვერდზე ძნაა და საბძელი. მეოთხე თურაში ლხინის თავი—ბახუსი „ბოჩკაზე“ ზის და გარშემო ვაზ-ყურძენი აქვს შემოვლებული. ამ თურებს ზემოდ და ყარყარის მუცელზე გამოსახულია ლომ-ფრინველ-გველები. მუცელ ქვევით გამოყვანილია დევი, თავ-მოხვეული მოლა, თათრის ქალი დაირა ხელში და კიდევ თათრის ქალისანთურით (ციტრა). ყელთან მეზურნეების დასტის კაცებია ცალ-ცალკე გამოყვანილი.

მეორე ყარყარა კულა ამ გვარ ჩუქურთმიანია: ერთს თურაში ურემია ხარებ-შებმული, ზედ რუმბი და კოფოზედ კაცი. მეორე თურაში ნოეს კიდობანია, რომლიდამაც გამოსულან ცხოველნი: სპილო, ლომი, აქლემი, ჯიხვი, და ირემი. კამბეჩი უკან დარჩენილა და კიდობნიდამ თავი გამოუყვია, ახლად გამოდის. ამ ორ თურას გარდა ზემოხსენებულ თურებსა-ვით წვრილი თურებია ზევითა და ქვეით: მეზურნეების დასტის კაცებია გამოყვანილი ცალ-ცალკე, პირუტყვები, ფრინველები, ლომები და გველები, რომელნიც იბრძვიან.

ყარყარა კულა მაღალ-ყელიან სურასა ჰგავს, მხოლოდ ყელი მოგრეხილი აქვს.

დღევანდლამდე ოქრომჭედლებში ძველადგანვე დარჩენილა ერთი თქმულობა იმის შესახებ, თუ ყარყარა-კულა როგორ წამომდგარა. საქართველოს მეფეს სოლომონს (რომელს, არ ვიცით) სადილის დროს ამბავი მიუტანეს: თათრებმა ქალაქი აგვიოხრესო. მეფე გაჯავრდა და სურას ხელი მოავლო, ყელი მოუგრიხა და სთქვა: თათრებს მაგის სამაგიეროდ ასე მოვუგრეხ კისერსაო. იმ დღიდამ ამ ამბის სახსოვრად ყარყარა-კულის კეთება შემოიღესო.

ეს ვერცხლეულობის ხელოვნება უნებურად იზიდავს კაცის ყურადღებას, ამითი უნდა აიხსნას, რომ ამ გვარ ნახელოვნებს უცხო ქვეყნელები ძალიან ემუშტრებიან და ტფილისში, ან ქუთაისში ჩამოსულნი ხშირად ჰყიდულობენ და ევროპაში მიაქვთ. მართლაც-და არც ძნელია ყიდვა, რადგან ფასი არ აძევს, დიდი მისხალი 70 კაპეიკად იყიდება.

*** წარსულს ხუთშაბათსა და პარასკევს ებრაელები დღესასწაულობდნენ „როშ მაშონოს“, ე. ი. ახალს წელიწადს ებრაელების წელთა აღრიცხვით. ამ დღესასწაულს ის განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ დილის ლოცვაზედ საყვირს დააყვირებენ ხოლმე თორაში. დაბადებაში არაფერია ნათქვამი ებრაელთა ახალ წლის გამო, მაგრამ ტალმუდის მიმდევარნი-კი დაბეჯითებით გაიძახიან, რომ მეშვიდე თვის პირველს დღეს უნდა ვიდღესასწაულოთო. ამიტომაც სექტემბრის თვეში მოსდით ახალი წელიწადი ქრისტიანულის წელთა აღრიცხვით.-ახალ წლის დღეს ყოველმა ებრაელმა კარგად უნდა გაითვალისწინოს მთელი თავისი ცხოვრება, ცოდვები დაითვალოს წარსულის წლისა და უფალს მოტევება სთხოვოს. ამ ახალ წლის პირველ დღესვე ყველა ებრაელები, სქესის განურჩევლად, მდინარის პირას გადიან და განსაკუთრებით ამ შემთხვევისათვის დაწერილს ლოცვასა კითხულობენ, ამ ლოცვას ეწოდება „ტაშლითი“, ანუ ცოდვათა მისატევებელი ლოცვა. შემდეგ ყველა ებრაელი კალთებს იბღერტავს ხოლმე მდინარეში და ამბობს: «მიიღე შენს უფსკრულში ყოველივე ცოდვა ჩემი და შენთა ტალღებთან ერთად უძირო ზღვისკენ გააქანე; ნულარამც დამიბრუნდებიან უკან და განიბნიონმცა, ვითარცა მტვერი». ახალ წლის პირველ დღის საღამოსვე ყოველი ებრაელი ვალდებულია უეჭველად ტკბილი ჭამოს რამე, რათა „მთელი წელიწადი ტკბილად და სასიამოვნოდ გაატაროს“. სახლის უფროსი ამ პირველ დღეს უეჭველად ან ცხვრის თავსა სჭამს, ან ხბოს თავს და ან, თუ ეს არა აქვს, თევზის თავს, რათა „მთელის წლის განმავლობაში მეთაური და უფროსი იყოს“. მწარესა და მჟავეს საჭმელში ხმარებას ამ დღეს ჩვეულებრივ ერიდებიან ებრაელნი. თვით წინასწარმეტყველი ნეემიავე ამბობს: „სჭამეთ საჭმელი ნოყიერი და სვით სასმელი ტკბილი, რამეთუ წმინდაა დღე ესე უფლისა ჩვენისათვის“. ამ დღეს ტფილისის თორა სავსე იყო ტფილისელ ებრაელებით. ათის დღის მონანიების შემდეგ ებრაელები იდღესასწაულებენ „მიტევების“ დღესასწაულს, რომელსაც მარხულობასა და ლოცვაში ატარებენ.

*** სამშაბათს, 19 სექტემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია საქმე პოლიციის მოხელედ ნამყოფის მ. წინამძღვრიშვილისა, რომელსაც ცოლის მოკვლა ჰბრალდება და ოლქის სასამართლომ უვადოდ კატორგაში გაგზავნა გადუწყვიტა.

*** ქ. კავკავი: 4 ამ თვისას კავკავში გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ერთი ჩვენი თანამემამულე აზნაური, სიმონ სიმონის ძე საყვარელიძე, რომელიც ყმაწვილობაშივე გადმოსულა კავკავში და აქვე მსახურობდა. განსვენებულმა თავისის შრომითა და ბეჯითობით ორი სახლი შეიძინა: ერთი ორ-სართულიანი და ერთიც ერთ-სართულიანი. ამ ერთის წლის წინად ერთი სახლი გაჰყიდა და მეორე თავისს მეუღლეს გადასცა, რადგანაც ავადმყოფობდა და შვილები არა ჰყავდა. განსვენებულს, თუმცა სამშობლოდგან დიდის ხნის გადმოსული იყო, სამშობლო ერისა და ქვეყნის სიყვარული მუდამ გულში უტრიალებდა და ამიტომ კიდეც შესწირა თავისი წვლილი სამშობლო მხარეს. ს. ს. სიყვარულიძემ ანდერძით ტფილისის სასულიერო სემინარიას დაუტოვა ოთხასი თუმანი, რომლის სარგებელი უნდა მოხმარდეს ღარიბ ქართველ მღვდლის შვილებს ორმოცი თუმანი და ერთიც პირველის შინაგან სესხის 5% მომგები ბილეთი შესწირა კავკავის ქართულს სკოლას და ტფილისის გუბერნიის რამდენსამე მონასტერს—ათ-ათი თუმანი. არც თავისი უმწეო ნათესავები დასტოვა უყურადღებოდ და თითოეულს მათგანს უანდერძა ცოტაოდენი ფული. ანდერძი და სხვა საბუთის ქაღალდები უკვე გაუგზავნეს მის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობას ეგზარხოსს საქართველოსას პალადის.

*** სოფ. ურიათუბანი: არ იქნა და ქურდებისაგან თავი ვერ ვიხსენით. შარშანაც ბევრი რამ დაიკარგა, მაგრამ ყურის მგდებელი არავინ იყო და ამიტომ ქურდები კიდევ უფრო გათამამდნენ. წელს თავ. ჭავჭავაძიანთ მოჰპარეს ძვირფასი ხმალი. ერთს ქვრივს კიდევ გაუტეხეს სახლი და ოც-და-ათი თუმანი ფული წაართვეს ამას წინად ერთი გლეხი ჰყარაულობდა ვენახს და ამ დროს ორი პატარა ბიჭი შეეპარა ვენახში ყურძნის მოსაპარავად პატრონმა შენიშნა, თოფი ესროლა და ორივე დასჭრა.

*** სოფ. კეცის-ჯვარი: ხუთშაბათს, 14 ამ თვისას, ჩვენს სოფელში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ამ სოფელში სცხოვრობენ სხვათა შორის ვანო ჩინჩალაძე და სოსე რაზმაძე. რაზმაძემ მოიტანა ჩინჩალაძის ნასიმინდრიდგან ფიჩხი და ზოგი კალოს შემოავლო და ზოგიც თონეში დასწვა. როდესაც ჩინჩალაძემ საყვედური უთხრა, რაზმაძემ დაუღრიალა: ჩემი ნებაა, დავწვი და ეხლა რა გნებავსო. ამაზე ჩინჩალაძემ უპასუხა: ისა მნებავსო, რომ დანარჩენს არ დაგაწვევინებ და ჩემი ფიჩხი უნდა წაიღოვო, და კიდეც მოჰკიდა ხელი ფიჩხს. ამ დროს რაზმაძემ ორჯელ დაუქნია კეტი, მაგრამ ჩინჩალაძე განზე გაუხტა და კეტი აიცილა. როდესაც მესამედ დაუპირა კეტის დაკვრა, ჩინჩალაძემ კეტი წაართვა. მაშინ წამოავლო რაზმაძემ ქვას ხელი (ქვა სამი ან ოთხი გირვანქა იქნებოდა) და ყვრიმალში შემოჰკრა. ქვა საფეთქელსა და ყურში მოხვდა, ვანო ჩინჩალაძე დაეცა უგრძნობლად დედამიწაზედ და სისხლის მო-

# ფელეტონი

## საინგილო *)

### ეთნოგრაფიული წერილები

ზევით თავის დროზე ვერ აღვნიშნეთ ქორწილის შესახებ ზოგიერთი წვრილმანი გარემოება, რომელიც ასურათიანებს ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ქორწილის მეორე ღამეს, სტუმრები რომ სახლში კერას გარშემო დალაგდებიან და ჭამა-სმასა და სიმღერა-ლაპარაკს გააჩაღებენ, ნეფეს გააპარებენ სახლიდგან და „აყარზე“ (სახლის ჩარდახზე) აიყვანენ. იქ იმისთვის გაშლილია ლოგინი. შემკმაზლები ლოგინში ჩააწვენენ და ჩამოვლენ. მცირე ხნის შემდეგ დედუფალსაც გააპარებენ და იქვე აყარზე აიყვანენ ქმართან. დედუფლის გაპარება რომ სტუმრებმა ვერ შენიშნონ ოჯახის მამა (ან უფროსი) ფეხზე წამოდგება, მაშინ ხალხს შეფრობას, სთხოვს და ნება-უნებლიედ ათამაშებენ. ამ დროს ყველანი ფეხზე ადგებიან და ტაშის კვრას დაიწყებენ. რასაკვირველია, ამ არეულობაში პატარძალი ადვილად და შეუმჩნევლად გაჰყავთ. პატარძალს ლოგინამდე მდადე მიუძღვის. მდადე მიიყვანს და პატარძალს ქმარს „ჩააბარებს“.

— ქანი, ეუბნება იგი ნეფეს: ე ქალ ეხლა შენი, ექამდინ ჩონ გოგიზდი, მოვცელი, ხათირ (ხათრი) არ დაგიკლი, ეხლა-კი შენ იც, ჰოგორც შენახავ.

ნეფეც, რასაკვირველია, ჰპირდება, რომ კარგა შეინახავს. შემდეგ მდადეც ჩარდახიდამ ჩამოვა. ამ წუთამდე ნეფე-დედოფალს არასოდეს ერთმანეთი არ უნახავთ. არც ერთმა არ იცის არაფერი შესახებ თავისის მეუღლისა: ან როგორი ხასიათისაა, ან როგორი პირისახე აქვს, როგორი ტანისაა, ან გამრჯეა და გამგონი, თუ კერპი, ზარმაცი, ანჩხლი და სხ. აქ პირველად გაიცნობენ ერთმანეთს და ისიც არა დიდხანს: დილა ადრიანად ორივე ჩამოჰყავთ და ისევ სანეფო-სადედოფლოდ ჰრთევენ და მარაქაში სხმენ.

მესამე დღეს, სალამო ჟამის შექცევის წინად, «ფეხის ბანა» იმართება. ხალხი რომ ჩამოსხდება კერის გარშემო, ახალგაზდა ქალები გადმოვლენ მარაქაში და უფროსიდგან მოყოლებული უმცროსამდე „ფეხს გაჰხდიან“, ესე იგი ყველა კაცს შემოხსნიან და გააძრობენ ფეხიდამ ტოლალებს, ქალამნებსა და წინდებს. ამავე დროს გადმოიყვანენ პატარძალს და იგი ყველას ფეხს დაჰბანს. ფეხს პატარძალი ლაგანში ჰბანს თბილის წყლით, რომელიც წუმწუმათი (სპილენძის მაღალ-ყელიანი და ლულუკიანი ჭურჭელია) პატარძლის მოახლე ქალს მოუტანია და საჭიროებისამებრ პატარძალს უსხამს წყალს. დაბანილს ფეხებს სუფთა ტილოთი პატარძალივე ამშრალებს. ფეხის ბანისთვის ყველანი პატარძალს აჩუქებენ: ზოგი აბაზს, ზოგი 30, 40 და 50 კაპეიკს. სალამ-სალამოობით ფეხის ბანა გრძელდება ქორწილის გათავებამდე და შემდეგაც ორი-სამის წლის განმავლობამდე. პირველ ხანში, თუ გაყრილი ბიძა ახლოს მოსახლეობს, იქაც უნდა წავიდეს პატარძალი და ფეხი დაჰბანოს, ყველას თუ არა, უფროსებს მაინც.

რამდენსამე დღეს შემდეგ, დღისით, პატარძალი ისევ „ჩარჩავს უკან“ (გაფარდულში) ზის და საქმეს არ აკეთებს. შემდეგ-კი პატარძლურადვე კელმანდილით მორთული და პირაფარებული მუშაობას შეუდგება. პირზედ, ცხვირს ქვემოდ, აფარია თეთრი ქუნა (კისაია), თავზედ კელმანდილი ისე აქვს გაკეთებული, რომ შუბლის სისწვრივ მაღლა ამართულია კელმანდილისავე ცხვირი. ეს მორთულობა ზოგიერთს ძლიერ უხდება. მაგრამ მე-კი, თუ მკითხავთ, ვერც ერთი აქაური ჩაცმა-დახურვა ქართულ ბუნებრივ ჩაცმა-დახურვას ვერ ემჯობინე. უფრო ის აუშნოებს ქალის ჩაცმა-დახურვას, რომ აქ ქალებს ჩითისა და ფარჩის ფრიად განიერი ორ-ტოტიანი შარვლები აცვიათ. პერანგი მუხლამდე ძლივს სწვდება. პერანგს ზემოდგან იცვამენ მოკლე ახალოხს, ან ჩაფკან-ლაბადას. ჩაფკანი და ლაბადა ახალოხზე ბევრით მოკლეა და მოკლე სახელოებიცა აქვს. პერანგის გულის-პირზედ მძივის „იახა“ აკერია, ახალოხისა და ლაბადას სახელოების ქვემო მხრივ აკერია ვერცხლის „სარმა-დუგმა“ და აბაზიანები ან ორ-შაურიანები. წინიდგან ჩაფკანი და ლაბადა ვერცხლის ჩაფრასტით იკვრის, წინ, გულის პირზედ, კოჭებამდე განიერ «მაჟზარს» (ფიშტამალს) იფარებენ. მაჟზრის ნაპირებზედაც, უფრო-კი ბოლოზე, „სარმა დუგმასა“ და აბაზიანებს აკერებენ. მაჟზრის ზემო პირზე, გულის სისწვრივ, ფარჩით დააჯვარედინებენ ხოლმე და ჯვრის შუა გულში ხანდახან აბაზიანს ჩააკერებენ. ტანად რომ ჩაიცმენ, ახლა ზემო აღწერილ ქამარს შემოიტრყმენ.

პატარძალი წლის თავზე კელმანდილს მოიხდის ხოლმე და „პირსაც ჩამოიხდის“, ე. ი. პირს აღარ აიხვევს. მაშინ იგი ჩვეულებრივად თავს დაიხურავს. დედაკაცებს 14—15-ის წლიდამ ჩიქილა და ლეჩაქი ჰხურავთ. აქაური ლეჩაქი ქართულს არა ჰგავს, იგი უფრო მოგვაგონებს იმერულ ფაფანაკს. ლეჩაქი ჩითისაა, იგი ვიწრო ზოლად, ერთის ყურიდან მეორემდის იკვრის და უკან კეფამდე ვიწროდ გადადის. ზედ შუბლის მიყოლებაზედ, საფეთქლიდგან საფეთქლამდე, მძივი აკერია. ამას გარდა საფეთქელზე-კი ჰკიდია ყოჩ ბოჟნუზი (ყოჩის რქა). ეს ყოჩბოჟნუზი მცირე ნალსა ჰგავს ვერცხლისა და ზედ ვერცხლის წვრილი ფული აკერია, რიცხვით სულ ექვსი. ლეჩაქს რომ თავზე გაიკეთებენ, ყოჩბოჟნუზი თითქმის წარბებამდე ეკიდება. ლეჩაქის ზემოდგან თავზე ჩიქილას იხურავენ. ჩიქილა სამ-კუთხიანია, რომლის ერთი წვერი უკან ჩამოშვებულია. ზოგიერთნი ჩიქილის მოხვევის შემდეგ თავს იკვრენ კრელის კელმანდილით, რომელსაც სიმაგრისათვის თავის გარეშემო ვერცხლის პტყელ ბეწვს შემოახვევენ ხოლმე; ფეხზე იცმენ წინდებს და ქოშებს. პატარძლებს წუღებს ან ლაფჩინებს უყიდიან. შეძლებულები თავიანთს ცოლებს ლაფჩინებითაც ატარებენ, ხოლო ღარიბთა დედაკაცთ ხშირად ქალამნებიც ენატრებათ. აქაური დედაკაცი, თუ სიღარიბემ არ აიძულა, ფეხ-შიშველა იშვიათად ივლის. გასათხოვარ ქალებსაც ასეთივე ტანისამოსი აცვიათ, ხოლო თავზედ მარტო ლეჩაქი არა ჰხურავთ. ყველა ეს ტანისამოსი ჩითისაცა კეთდება და ფარჩისაც. თითო ხელი ფარჩეული, თითქმის ყველასა აქვს, ღარიბსაცა და მოვალესაც. მდიდარის გლეხების ცოლ-შვილს ხომ ორი-სამი ხელი საცმელიც აბადია. საყურეებს აქაური ქალები სრულიად არ ატარებენ, ხოლო სალტეები (სამაჯური) აქვს ზოგიერთს ბეჭედს მარტო პატარძალი ატარებს, ისიც ორიოდ წელს, ნეფე-კი ქორწილის შემდეგვე წაიძრობს და შეინახავს.

ამით ვათავებთ საინგილოში ვაჟის დაქორწილების ამბავის მოთხრობას. ეხლა ვიანგარიშოთ დაქორწინებისა და დაგვირგვინების ხარჯი.

ქალის მამას ვაჟის მამისაგან ეგზავნება:

1) ქრთამი ფულად გასათხოვარ ქალში: ეხლა 30—120 მანეთამდე, უწინ—200—500 მან.

2) ქვრივში ეგზავნება: ეხლა 50 მან., უწინ—100—200 მან.

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ა) სახორცე (ხარი, ან ფური) ქორწილში დასაკლავად . . . | 10—15 „ |
| ბ) სამისავე ნიშანის ხარჯი. . . | 100—150 „ |

*) იხ. „ივერია“ № 194.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეევში სცურავდა. დილის შვიდ საათიდგან თითქმის ნაშუადღევის სამს საათამდე თავს დავსტრიალებდით საბრალო კაცს და გრძნობაზედ ვერ მოვიყვანეთ. ბოლოს როგორც იყო სისხლი შევწყვიტეთ და მოვასულიერეთ. რაზმაძე მამასახლისმა დააპატიმრა და გორში გაგზავნა. საშინელს მდგომარეობაში იყვნენ მომაკვდავის ორი მოხუცებული, ორის კვირის დაქვრივებული რძალი და ცოლი ძუძუ-მწოვარა ბავშვით. ჩინჩალაძე ერთად-ერთი პატრონია ექვსის სულისა და არ ვიცით როგორ გადარჩება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ჯანჯათი (გურია). 6 ამ თვისას ჩვენს სოფელს ეწვია მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელმაც მობრძანებისთანავე დაათვალიერა აქაური სამრევლო სასწავლებელი. სასწავლებელში შესვლისათანავე შეგირდებმა იგალობეს გურულს კილოზე „ისპოლა“... ამას შემდეგ მისმა მეუფებამ გამოსცადა შეგირდები სალმრთო სჯულში და სხვა ენებში და როცა გაიგო, რომ სკოლაში მეცადინეობა მხოლოდ ამ წლის თებერვლის თვიდგან სწარმოებს, ბძანა, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში, რაც უსწავლიათ, მეტის სწავლა შეუძლებელიაო. სასიამოვნოა, რომ შეგირდებმა ნასწავლი შევნებულად და საფუძვლიანად იციან, ცხადათ ესმისთ, რაზედაც პასუხს იძლევიან, და მასთან ჯეროვანი სითამამე ეტყობათ ხოლო რამდენადაც ეს სასიამოვნოა ორჯელ მეტად სამწუხაროა, რომ შეგირდების რიცხვი ასეთს კარგად მოწყობილს სკოლაში ესე ცოტა, (ოცი შეგირდი იყო). იმედია ამის შემდეგ შეგირდების რიცხვიც იმატებს და მასწავლებელიც ისეთისავე მუყაითობით განაგრძობს შრომას, როგორითაც დაუწყიაო. დასასრულ, მისმა მეუფებამ შეგირდები გამოსცადა საეკლესიო გალობაშიაც და განსაკუთრებითი მადლობა უძღვნა ბ-ნ პავლე ჩიჩუას, რაკი შეიტყო, რომ ეს პატივცემული კაცი შეგირდებს უსასყიდლოდ ასწავლიდა გალობას. წასვლისას მისმა მეუფებამ სათითაოდ დაურიგა შეგირდებს სალმრთო შინაარსის ქართული წიგნაკები, ჯვრები და რვეულების ფასი და მომავლისათვისაც აღუთქვა ამ სკოლას შემწეობა და თავისი ყურადღება. სკოლიდგან მისი მეუფება გაემგზავრა ადგილობრივ ეკლესიისაკენ, სადაც დიდძალს ხალხს მოეყარა თავი არა მარტო ამ სოფლიდგან, არამედ ახლომახლო სოფლებიდგანაც, რადგანაც მის მეუფებას ჩვენს ეკლესიაში უნდა ეწირა. ეკლესიაში შესვლისას ადგილობრივმა მღვდელმა ი. წ. შესხმა მოახსენა. ნაწირევს იმისმა მეუფებამ უქადაგა ხალხს სარწმუნოებაზე, რომელიც თვინიერ საქმისა მკვდარ არს, სწავლა-განათლებასა და შვილების აღზრდაზე. ხალხის ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ეკლესია უვარგისია და თუ ხელ-ახლად გაკეთება და აშენება შეუძლებელი და საძნელოა, შეკეთება მაინც აუცილებელი და საჭიროა.

გამოვიდა წირვა თუ არა, ყოვლად სამღვდელოს ქადაგების ზედ-მოქმედებით გამხნევებულმა ხალხმა მაშინვე დაიწყო ლაპარაკი ეკლესიის აშენების შესახებ. სოფელი ორ დასად გაიყო. პირველი იმ აზრის იყო, რომ შესაძლებელია იქ, სადაც დღეს სდგას, შეკეთდეს და გაუმჯობესდეს ეკლესიაო; მეორე-კი თხოულობდა, რომ რაკი უხარჯოდ და უფასოდ არაფერი გაკეთდება, ისევ წავიდეს ხარჯი ხარჯთან, ჯაფა ჯაფასთან და ბარემ ქვის ეკლესია ავაგოთ, საშვილიშვილო საქმე გავაკეთოთ და ადგილიც საუმჯობესო მოვნახოთო. ამ დღეს ვერც ერთი აზრი ვერ გადასწყდა და ამიტომ მცხოვრებთ სთხოვეს მის მეუფებას, უბრძანოს ადგილობრივს ბლაღოჩინს, რომ დაესწროს მოლაპარაკებაზე, და აღუთქვეს, რომ როგორც იქნება, მოვითავსდებით ერთმანეთში და ეკლესიას გავაკეთებთო.

არ შემიძლიან აქვე არ მოვიხსენიო ის შეწუხება, რომელიც ამ სოფელს ადგია უგზოობის გამო და რომელიც მრავალს სოფლის სასარგებლო და წინ წამწევ საქმეს უშლის ხელს. თუმცა კარგა ხანია მას აქეთ, რაც, ვისგანაც ჯერ იყო, ნაბრძანებია, რომ ღ. ნაგომრიდგან ნიგოითის რკინის გზის სადგურამდე ამ სოფელზე გზა გადაატარონ, მაგრამ ამ ბრძანებას დღემდე სძინავს სიღრმის ძილით და ვინ იცის კიდევ რამდენს ხანს იძინებს ჩვენებურ ფხიზელ მოხელეთა წყალობით! ეს გარემოება მით უმეტესს სამწუხაროა, რომ ეს გზა მეტად მოხერხებული და მოკლე გზაა ნიგოითის რკინის გზის სადგურზე მისავალად, იმის მაგიერობას სხვა გზა ვერ გასწევს და ამასთან არა მარტო ჯანჯათისთვის არის საჭირო, არამედ ახლო-მახლო სოფლებისათვისაც.

მეორე დღეს ეპისკოპოსი გაემგზავრა სოფ. ძომლეთში და იქიდამ ვანში. ორსავე ალაგას სწირა და დროსა და გარემოების შესაფერი ქადაგება წარმოსთქვა. წირვის შემდეგ მანდილოსნებსა და ბავშვებს ჯვრებს ურიგებდა. ა[illegible] ამ სოფლების ეკლესიები მოსწონებია მის მეუფებას.

7 ამ თვისას სადილად მისი მეუფება იყო მიწვეული სოფ. ვანში მღვდლის კ. მ—ისას. აქ დაწვრილებით უამბეს, თუ ყაჩაღებისა და იმათის შემნახავების აღმოსაჩენად როგორ იფიცა ხალხმა „ლომის-კარელზე“, რომელიც ჩვენში ყველაზედ ძლიერ ხატად არის მიჩნეული. ამაზე მისმა მეუფებამ ჰბრძანა, რომ სამწუხაროა იმ ხალხის ზნეობრივი მდგომარეობა, რომელიც ფიცს დასჩვევია და უფიცრად-კი სიმართლეს არ ამბობსო. გასაკვირველია, რომ გურულები, ეს ძველი ქრისტიანები, კიდევ მისდევენ ისეთ ჩვეულებათ, რომლებიც ქრისტეს სჯულსა და სწავლას არ შეესაბამებიანო. ხატის ამორჩევა ფიცის დროს ვითომც-და სიძლიერის გამო სრულიად უწესო საქციელია, რადგანაც ფიცი დაწესებულია ჯვარსა და სახარებაზედ და მართლმადიდებელ კაცთათვის ამაზედ მეტი პატივსაცემი რაღა უნდა არსებობდესო.

ჭანჭათელი

## უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიას ამ დღეებში დიდი დასკლისი დააკლდა. პარიჟში გარდაიცვალა უპირველესი და ფრიად პატიოსანი, მტკიცე სახელმწიფო მოღვაწე და მხნე პუბლიცისტი ზაქარია სტოიანოვი. გარდაიცვალა უეცრივ, მოულოდნელად, ჯერ ისევ ახალგაზდა და სრულს ჯან-ღონეზედ მყოფი. ზაქარია სტოიანოვი იყო თავმჯდომარე საერო კრებისა და რედაქტორი მთავრობის მომხრე გაზეთის „თავისუფლებისა“. ალექსანდრე ბატენბერგის დროსაც, შემდეგ, როცა ბოლგარის მთავარი არა ჰყავნდა, და რეგენტები იყვნენ ქვეყნის მმართველებად და დღესაც, როცა პრინცმა ფერდინანდ კობურგელმა ჩაიგდო ხელში ბოლგარია, ზაქარია სტოიანოვი მთავრობის ერთგული და უერთგულესი ყმა და მარჯვენა ხელი იყო. რაც ამ ათიოდე წლის განმავლობაში შესამჩნევი ამბავი მოხდა ახლად განთავისუფლებულს ბოლგარიაში, არც ერთს ისე არ ჩაუვლია, რომ ზ. სტოიანოვი მონაწილე არა ყოფილიყო. ამ ხანში ბევრმა მოღვაწემ გაიფუჭა საქმე, სალანძღავად გაიხადა თავისი სახელი, მაგრამ სტოიანოვს მტერიც-კი ვერას სდებდა წუნს. ისეთი დიდი საქმე ბოლგარიის ცხოვრებაში, როგორიც იყო ფილიპოპოლის რევოლიუცია, ანუ შეერთება აღმოსავლეთ რუმელიისა და საკუთრად ბოლგარიისა, თითქმის განსაკუთრებით ზაქარია სტოიანოვის უნარსა, მხნეობასა და თავ-გამოდებულს მოღვაწეობას უნდა მიეწეროს. იმან დააწყო შეთქმულობის საქმე, მისცა ორგანიზაცია, მოახდინა არეულობა და ჯარი შემოარტყა რუმელიის ფაშის გაბრიელ სერესტოვიჩის სასახლეს ფილიპოპოლში 6 სექტემბერს 1886 წ. ამ რევოლიუციამდე ჰბეჭდავდა საკვირაო გაზეთს და გამუდმებულის ბრძოლით მთავრობის წინააღმდეგ იქამდე მიიყვანა გაბრიელ ფაშის საქმე, რომ მთელი ქვეყანა წინა აღუდგა მის ბატონობას და მოინდომა შეერთება ბოლგარიასთან. ამას შემდეგ ზაქარია სტოიანოვს ერმა მიანდო ფრიად საპატიო და დიდი თანამდებობა — თავმჯდომარეობა საერო კრებისა. ეს თანამდებობა სიკვდილამდე ეპყრა და ასრულებდა ყოვლად პატიოსნად და წინ-დაუდებლად.

მის გარდაცვალებას დიდის წუხილით იხსენიებენ ავსტრიისა და გერმანიის გაზეთები. რუსეთშიაც-კი, სადაც განსვენებული მოღვაწე არ უყვარდათ რუსეთის წინააღმდეგობისათვის, რუსული

---

| | | |
|---|---|---|
| გ) მაჰანკალს | 1 | „ |
| დ) მღვდეს | 2 | „ |
| ე) ქალის დედას „სადედო“ | 1 | „ |
| ვ) გატანებულებს ორ-ორი შაური, სულ | „ | 70 |
| ზ) ვაჟის შემკაზელს | „ | 40 |
| ჱ) მენაღრე-მეზურნეს | 3 | „ |
| თ) მეკურტნეს | „ | 10 |
| ი) საზმო (საძმო) | „ | 10 |
| კ) ეკკლესიას | 2—3 | „ |
| ლ) ქვეხას (მამასახლისს) | 1 | „ |
| მ) მღვდეს ხელის დასაბანინებლად | „ | 20 |
| ნ) ქალის წილი | 12 | „ |

სულ: ეხლა 323—50—500 მან., უწინ 543—50—1000 მან.

ვაჟის მამა სარძლოს მამას მზითვის მოსამზადებლად უგზავნის:

| | |
|---|---|
| ა) 10 ჯეჯიმის ძაფს, ან დაქსოვილ ჯეჯიმებს (ჯეჯიმი ღირს 3—4 მან.) სულ-კი | 30—40 მ. |
| ბ) ორი საბანი | 15—20 მ. |
| გ) 1—2 სასტული (ბალიში) | 1 მ. |
| დ) 6—12 აზგა | 2—5 მ. |
| ე) წინდები, ტოლალები და სხ. | 3—4 მ. |
| ვ) ქალისთვის „ფარჩა“ (ჩითეულობა და ფარჩეული) | 50—60 მ. |
| ზ) ქამარი | 20—50 მ. |
| ჱ) ილგა | 30—50 მ. |
| თ) სარმა-დუგმა | 12 მ. |
| ი) ჩაფრასტი | 6—7 მ. |
| კ) ქინქირი (პტყელი ძეწკვი) | 10—20 მ. |
| ლ) ქოშები | 1 მ. 20 კაპ. |
| მ) კიდევ წვრილმანი ნივთები | 3—4 მ. |

სულ 183—274 მან.

ვაჟის მამას თავის შვილის ქორწილში ეხარჯება:

| | |
|---|---|
| ა) ორი, ან სამი სახორცე | 30—40 მ. |
| ბ) ორიოდე თაღარი პური | 8—10 მ. |
| გ) ორი ბათმანი ყველი | 2—3 მ. |
| დ) ღვინო 4—5—6 თაღარი | 16—30 მ. |
| ე) წვრილმანი ხარჯი, ვითარცა: შემა, სანათი (ჭრაქები-ჩირაღი), ხახვი, ხილი და სხვ. | 10—12 მ. |
| ვ) არაყი (უწინ) | 10 მ. |
| ზ) შვიდი ქათამი, ერთი ყახაჯი, ბრინჯი, ერბო და სხ. | 10 მ. |

სულ 88—127 მან.

სამივე ხარჯი ერთად შეადგენს ეხლა 594—901 მ., ხოლო უწინ შეადგენდა 814—1401 მანათს*).

შიგა და შიგ მოიპოვება საინგილოში ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისუფალი ფული აქვს და ყოველსავე შვილის დასაქორწილებლად ნაღდ ფულზედ ჰყიდულობს. სხვები-კი საქორწილო ჩით-ჩუთსა, ფარჩასა და სხვ. ბაზრიდამ ნისიად ეზიდებიან. ყოველ ინგილოს ბაზარში თავისი „ყონაღი“ ჰყავს, ე. ი. რომელიმე ვაჭარი. ყონაღი თითქმის შინაურ კაცად ითვლება. როდესაც უნდა, მაშინ მივა ყონაღი ინგილოსას, მოივლ-მიივლის საცა უნდა, პურს შაჭამს, ღვინოს დალევს, დაბრუნებისას მწვანილეულსა და სხვ. წაიღებს და წავა. ინგილო თავის მონაგარს არავის მიჰყიდის, თუ არა ყონაღს. მაგალითად, პარკს, ღვინოს, თუ პური აქვს, პურს, ბრინჯს და სხვას. ყონაღსვე ყონაღი ინგილო ყოველ წლივ ფეშქაშად მიუტანს ერთს ურემ ბზეს, ხანდახან შეშასაც და სხვ. მაგიერად ინგილოს ყონაღისაგან ნისიად მიაქვს „ფარჩა“ და როდესაც დასჭირდება, ფულსაც სესხულობს. აქაური ვაჭრები ერევნის გუბერნიიდამ არიან. უმეტესი ნაწილი მათგან მოსვლის ჟამს ლუკმა პურის მონატრულია, მაგრამ მალე დაყონაღების შემწეობით მდიდარი და შეძლებული გამხდარა. როგორრაო, იკითხავთ. ასე ყოველ ვაჭარს რამდენიმე ყონაღი ჰყავს. ამ ყონაღებისაგან თითქმის ყოველ დღიური საზრდო მოსდის, აგრეთვე რამდენიმე ურემი ბზე, შეშა და სხ. თითონ კი სულ მცირე ფასად შეიძენს დამპალ-დუმპალ ჩით-ჩუთს და მამა-სისხლად აძლევს თავის ყონაღებს. თანაც ყონაღს ეუბნება: „ოჰ, რა ჩითებია, რა ამირიკაა, რა ნაშური! იცი პირდაპირ მაკარიიდამ ჩავიბარე, ეხლახან მომივიდა. ამ ჩითის ადლი თავის ადგილზე ექვსი შაური ღირს, მაგრამ შენ ყონაღი ხარ, მაგ ფასად როგორ მოგცემ, ხუთ შაურად მიირთვი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. დეე, მე ვიყო წაგებაში, ოღონდაც-კი თქვენ ნასიამოვნები დამრჩეთ. ამას გარდა ჩემი ხათრი და ყადრი გქონდეთ, თუმცა დიდი ზარალი მომდის, მაგრამ მაინც ნისიად გითმობთ პარკებამდე (ან სთველამდე)“. სრულიად გამოუცდელ და გულ-უბრყვილო გლეხს ეს მაცდური სიტყვები სჯერა. თავის უზაკველ გულში როგორ გაიტარებს ყონაღის ღალატს, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს სიეშმაკით გატენილ-გაბერილი სულიერი ჯვარსა და ხატს ჰფიცულობს, სამას სამოც და სამ წმინდანს იმოწმებს, რომ მისი ნათქვამი ყოვლად მართალია. ყონაღი, რასაც მისცემს გლეხს, იმას თავის დავთარში სომხურად ჩასწერს (ხშირად წაღებულზე მომეტებულსა სწერენ). შემდეგ ყონაღი გამოიანგარიშებს წაღებულ ნივთების ფასს, წლის სარგებელსაც ზედ დააკეცავს და ერთ ჯამად ჩასწერს. სარგებელიც ყონაღის საკადრისი იციან, ესე იგი 20—30 მანეთამდე და მეტიც. მეტი იმიტომ, რომ ვაჭარი, თუმცა წლის სარგებელს მაშინათვე თავნს ზედ აკეცავს, მაგრამ გლეხი წლამდის არ იცდის და როცა რა შემოუვა, ყონაღს აძლევს, მაგალითად პარკს ივნისში, თხილს ენკენისთვეში, ღვინოს ღვინობისთვეში, ხილს და სხვ. და სხვ. ამას გარდა რასაც ვაჭარი წაიღებს, იმას თითქმის უფასოდ ანგარიშობს, მაგალითად პარკის ფუთს 7—8 მან., როდესაც თითონ შემდეგ 12—15—20 მან. ჰყიდის. აგრეთვე ნაკლებად აფასებს ღვინოს და სხვ. ერთხელ თუ გაება გლეხი ყონაღის ქსელში, ძნელად ღა იხსნის თავს ამ ქსელიდამ. უწინ ქორწილის ხარჯი თურმე სრულიად ჰღუპავდა აქაურ ხალხს. ეხლა ეს ხარჯები, თუმცა შემცირებულია, მაგრამ მაინც გლეხისათვის ფრიად სამძიმოა. უწინ ხარჯიც თუმცა დიდი მოსდიოდათ, ბარაქაც დიდი იყო. მინდორი, ჰია, საქონელი დიდ შემოსავალს იძლეოდა, ხალხი დიდს ოჯახებად სცხოვრობდა, თითქმის არა ეხარჯებოდათრა გზებისა, სკოლისა, მწერლებისა და სხვ. შესანახავად. ეხლა-კი მინდორიც ღალატობს, ოჯახებიც ნამცეც-ნამცეცად დაყოფილია და ათას გვარი ხარჯ-ხაჯალათიც აწევება კისერზე. ამიტომაც მცირეოდენი ხარჯიც, თუნდაც ისეთ აუცილებელ საქმისათვის, როგორიც ვაჟის დაქორწინებაა, გლეხს წელსა სწყვეტს და ვალში აგდებს. აქაურ ვერაგ და ულმერთო ვაჭრების წყალობით გლეხი ყოველ წლივ ყონაღს აძლევს თავის სარჩოს, მაგრამ წლის ბოლოში რომ იანგარიშებენ, თავნს ვალს არა თუ არაფერი აკლდება, პირ-იქით, კიდეც ემატება. ამ რვა-ცხრა წლის წინად ინგილოს მამულები ცბიერ ვაჭრებს თითქმის სულ მთლად დაესაკუთრებინათ. თავისი ყონაღი გლეხები სრულიად განედევნათ მამა-პაპეულ ნაშენ-ნაღვაწ მამულ-დედულიდამ და ან იქვე მამულში დაენარჩუნებინათ და მოსავლის სანახევროდ ამუშავებდნენ. მაგრამ მათი უკანონო საქციელი ადგილობრივმა მთავრობამ შენიშნა. მაზრის უფროსმა სერაფიმოვიჩმა ვაჭრებს გლეხების მამულები ჩამოართო და ისევ გლეხებს დაუბრუნა, ზოგი სრულიად უფასოდ, რადგანაც ვაჭარს უკვე ერთი-ათად თავისი ფული ამოეგო და ზოგი-კი თავნი ვალის წვრილ-წვრილად მიბრუნებით. სერაფიმოვიჩის წყალობით მრავალმა ინგილომ დაიბრუნა მამული და ვალიდამაც გამოვიდა. მაშინ დაშინებული ხალხი ეხლა უფრო ფხიზლად იქცევა და ყონაღს დიდის ეჭვით ეპყრობა...

(შემდეგი იქნება)

*) ამ ანგარიშით ვაჟის მამისთვის პირველი და უკანასკნელი ხარჯი დაკარგულია, ხოლო მეორე-კი უკუ მოსაბრუნებელი, რადგან მზითევი ვერცხლის იმართიანად (მოსართავი) უკანვე მამის ოჯახში შემოდის, პატარძალს მოჰყვება. ამას გარდა „ილგას“ ეხლა რძლისათვის ბევრნი აღარა ჰყიდულობენ. ყველა ეს ხარჯები რომ გამოვიღეთ საზოგადო ჯამიდამ, წმინდა ხარჯი ვაჟის დასაქორწილებლად დარჩება: უწინდელ დროსთვის 601—1077 მან., აწინდელ დროსთვის 381—577 მანათი.

გაზეთები არა ჰხმაღავენ, რომ ზაქ. სტოიანოვი შესანიშნავი პატრიოტი იყო და ღრმად მოყვარული თავის სამშობლო ქვეყნისა.

ზ. სტოიანოვს სკოლაში არ უსწავლია, უბრალო მწყემსი იყო და უკვე ჰასაკში მოსული, რომ წერა-კითხვაც არ იცოდა. ბოლოს მოვიდა ჭკუაზე, დაიწყო მხნედ სწავლა და შეისრულა, რაც აკლდა უსწავლელობის გამო. ბუნებით ნიჭიერმა და ფიცხის ბუნების პატრონმა ჭაბუკმა მალე დაიჭირა შესამჩნევი ადგილი თავის თანამემამულეთა შორის. იმისი ვრცელი ისტორია ბოლგარიისა, რამდენსამე ტომად დაბეჭდილი, დღესაც თითქმის ერთად-ერთი უკეთესი წყაროა ბოლგარიის წარსულის საცნობად და სასწავლებლად. ორატორობის ნიჭით დემაგოგის სახელი დაიმსახურა, რედაქტორობით — ნიჭიერის პუბლიცისტისა და საერო კრებების ხელ-მძღვანელობით — ბრძენის სახელმწიფო მოღვაწისა.

ზაქარია სტოიანოვის განსაკუთრებული თვისება ის იყო, რომ სულითა და გულით უყვარდა თავისი სამშობლო, გულმაგად უდგა მის თავისუფლებისა და სიკვდილის წინაშეც-კი წარბს არ შეიხრიდა. თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მარტო მისი წერილები გაზეთს „თავისუფლებაში“ ქუხილი და გრგვინვა იყო, რომელიც აშინებდა ქვეყნის მტრებსა და ორგულებს და აფრთხილებდა ერთგულ მამულიშვილებს.

ასეთი მხნე პატრიოტი მოსტაცა სიკვდილმა ბოლგარიას და მერე ისეც ისეთს დროს, როცა უფრო მეტად საჭირო იყო მისთვის სტოიანოვებისთანა გალომებული მებრძოლნი და გაალმასებულნი დამცველნი. გარდაიცვალა სტოიანოვი 39 წლისა. სამწუხაროდ, რუსულს გაზეთებში დაწვრილებით არაფერს ჰხმაურდავენ არც იმის გარდაცვალებისა და არც დასაფლავების გამო...

## წვრილი ამბები

ბროუნ-სეკარის მიერ აღმოჩენილმა სიბერისა და სიუძლურის წამალმა სასტიკ მრთელ არასტეხა ალიაქოთი თურმე ამერიკაში. მოხუცებული ამერიკელები ძალიან ეტანებიან თურმე ამ ახალს წამალს სიჭაბუკის დაბრუნებისას როცა ერთს ფილადელფიელს ექიმს გამოუცხადებია, რომ ბროუნ-სეკარის სითხეს ვუშხაპუნებ მსურველთაო, დიდ-ძალი მოხუცი ამერიკელი სტუმრებია. ასევე ბევრი ხალხი დახვევია ექიმებს ვაშინგტონსა და ცინცინატსა. ანდიანოპოლისში ექიმს ფლეხტერს უთქვამს, რომ პრაქტიკულს მნიშვნელობას მოკლებული არ არის ბროუნ-სეკარის მიერ გამოგონილი წამალი სიჭაბუკისა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი თავის ხუთქვა და ცდა საჭირია, რომ ამ წამალმა მართლა სარგებლობა მოგვიტანოს რამეო. დეტროიტში დ-რს პილმერს ზემოხსენებული სითხე უშხაპუნებია ერთის სამოც-და-ათის წლისა დაუძლურებულ მოხუცისათვის. ორჯელ შეშხაპუნების შემდეგ ამ მოხუცს მარდად დაუწყია სიარული და წელში გამართულა, ამას გარდა გამოუცხადებია, რომ ამ უკანასკნელ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ასე კარგად და ჯანზედ არა ვყოფილვარო. ბროუნ-სეკარის სითხეს შეშხაპუნება ადამიანს კარგს გუნებაზე აყენებს და გულს უმხიარულებსო. მობილის დ-რი გლისონი, რომელსაც ნეკრესის ქარები ჰქონია, ამბობს, რომ ბროუნ-სეკარის წამლის შეშხაპუნების ორს საათს შემდეგ თავისუფლად გაუშალე სახსრები, სისხლმა წესიერად დამიწყო ძარღვებში დენა და უჯობესად სიარული შევიძელიო. საზოგადოდ ბროუნ-სეკარის წამალს დიდის გაფაციცებით ადევნებენ თურმე თვალ-ყურს ამერიკელები.

— ედისონს პარიჟიდგან წასვლისას პარიჟის სამუნიციპალო საბჭოს პრეზიდენტისათვის ხუთასი თუმანი მიუცია პარიჟის ღარიბთათვის დასარიგებლად.

— გარტფორდში (ამერიკას) სცხოვრობს თურმე ამ ჟამად ავტორი გამოჩენილის რომანის „ბიძია ტომის ქოხისა“, მისს ბიჩერ-სტოუ, თავის შვილებსა და ნათესავებს შორის. ბიჩერ-სტოუს აღარც წერა შეუძლიან თურმე და აღარც თხზვა. სტოლზე ამ მოხუცს უდევს თურმე თავისი გამოჩენილი რომანი და ზოგიერთი თავისი სხვა ნაწარმოები. ხშირად აკანკალებულის ხელით აიღებს წიგნს და დასცქერის, მაგრამ აღარა ესმის-რა-კი. მარტო მგონი ისღა ჩარჩენია გულში, რომ ეს წიგნები მეტრფასი უნდა იყოს ჩემთვისაო, ხელს უსვამს ალერსიანად და საეკლესიო საგალობლებს ამბობს ნელის ხმით. ამას შემდეგ ქ-ნი ბიჩერ-სტოუ დასეირნობს და ან თავისს ორ ძაღლთანა და სამ კატასთან თამაშობს. თავისს ძველს ნაცნობებსა და თაყვანის-მცემლებს ვეღარ სცნობს, თუმცა ჯანით-კი არას იტკიებს.

— მეროფს (ჩრდილოეთ კაროლინაში) ერთი ამერიკელი დედაკაცი გარდაცვლილა 121 წლისა, რომელიც მხოლოდ ორმოც-და-ათ გირვანქას იწონიდა თურმე.

— ხელოვნების სიყვარულით ერთს მოცეკვავე ქალს ჩიკაგოში ოც-და-ათი დღე უმარხულნია დიდ-ძალის მეთვალყურისა და ექიმის თანადასწრებით. მარხულობა ამ ქალს იმ მიზეზით დაუწყია, რომ გამსხვარიყო და ხორცი დაჰკლებოდა, რადგან 200 გირვანქას იწონიდა თურმე და ასეთი სისუქნე-კი ცეკვას უშლიდა. ამ მთელის თთვის მარხულობის შემდეგ მოცეკვავე ქალს მართლაც ერთიორად უკლია, ესე იგი 100 გირვანქა დაჰკლებია წონაში.

## დეპეშა

15 სექტემბერი

პეტერბურგი. „Новое Время“-ს შეუტყვია, რომ განზრახვა აქვთ ამ შემოდგომას გულ-მოდგინედ დაათვალიერონ და გასინჯონ სამხრეთისა და სახელმწიფოს განაპირა რკინის გზებიო.

პარიჟი. სენის დეპარტამენტის პრეფექტურის კომისიას უანგარიშნია ბულანჟეს კენჭი და უცვნია, რომ ბულანჟეს ასარჩევად წარდგენილი ბიულეტენები კანონიერი არ არისო. ამიტომ მონმარტრის დეპუტატად გამოცხადებულ იქმნა ჟოფრენი. რომფორის ბელვილში არჩევანიც არ უცვნიათ კანონიერად.

16 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელოსნო სასწავლებელთა შტატები და აგრეთვე ისიც, თუ როგორ უნდა იყოს განაწილებული ამ სასწავლებლებში სწავლა. ამ სასწავლებელთათვის წელს უნდა დაიხარჯოს 500,000 მან.

კოპენჰაგენი. გუშინ დიდი სამეფო ნადიმობა იყო გამართული ნადირობაში მონაწილეობას იღებდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დონიის მეფე და სხვა პრინცები.

ბელგრადი. ყველა ქალაქებისაგან სკუპშჩინაში აურჩევიათ 20 რადიკალი და 11 ლიბერალი. სოფლის საზოგადოებათა არჩევანი ჯერ არ იციან როგორ დასრულდა. რადიკალების მეთაური პაშიჩი აირჩიეს ბელგრადსა და ზაიჩარში.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 66 |
| ტრამოყნის კუპონები | — „ | — „ | 152½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 261½ |
| — მეორისა | — „ | — „ | 239 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

ბაზრის ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2 — | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 „ |
| მე-3 — | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 „ |
| ღორის ხორცი | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## განცხადებანი

იძლევა ქირით

სარდაფი ღვინისა

ევანგულოვის სახლში, 1 პოლიციის განყოფილებაში, წყლის დიდის საზიდის ქუჩისა და საპიორის ქუჩის კუთხეში, ახალ თეატრს ახლოს.

(3—1)

ზ. პ. ძის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

ა) უმთავრესნი მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდგან, სურათებით, საერო და სამრევლო სკოლებისთვის შედ. გ. იოსელიანის მიერ. ფასი 45 კაპ.

ბ) ლოცვანი, მისივე, ქართულად და რუსულად. ფასი 20 კაპ.

გ) კრებული არითმეტიკის ამოცანებისა. შედ. ნატროევისაგან. ფასი 35 კაპ.

დ) მეგობარი (მეორე წიგნი ანბანს შემდეგ) შედ. რ. ჯაჯანაშვილისაგან. ფასი 35 კაპ.

(3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანაშვილის მიერ. | „ 50 |
| ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან | „ 55 |

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთ ით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსახელელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—12)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

### „დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყოვლადფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისე გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაური, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—30)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108. (50—44)

დაზღვევა სიცოცხლისა

ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით

### „რუსეთი“

უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა

ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი“ დააზღვია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვეველთა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართველობას პეტერბურგს, Большая морская, № 13 ტფილისის აგენტებს ვ. ლ. პოტკოვსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა სააგენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თავ. მელიქოვისა, ირაკლი გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—3)

Доз. ценз. Тифлисъ 16-го Сентября, 1889 года. სტამბა ქ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე